ოქმი:**ო12. 37240302**
თარიღი:**30/01/2024**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 29 იანვარი
ქ.ოზურგეთი
14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, ს. ქარცივაძე, ხ. თავდიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ი. თუთბერიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (2025-2027 წლები) განვითარების დოკუმენტის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დოკუმენტი, ისაუბრა მისი განხორციელების მნიშვნელობაზე, ყურადღება გაამახვილა კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგების განვითარებაზე, დეტალურად დოკუმენტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ დოკუმენტის შემუშავების ორიენტირი იყო მთავრობის შესაბამისი განკარგულება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი და პასუხიმგებელი პირებისაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან შეხვედრები, განისაზღვრა მიზნები და ამოცანები. დოკუმენტს თან ახლავს სამოქმედო გეგმა, ეკონომოკური ანალიზი, ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ეკონომოკურ განვითარებაზე. კომისიის წევრმა ხ. ცერცვეძემ განაცხადა, რომ მონაწილეობდა რამდენიმე ფოკუს ჯგუფის მუშაობაში. შეგროვებული იქნა საინტერესო მასალები. კომისიის წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ დოკუმენტს. კომისიის წევრმა ი. თუთბერიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა სამუშაო ჯგუფში შესულიყო ოპოზიციური ფრაქციის წევრებიც. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დოკუმენტის წარდგენას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროს

სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი